საქართველოს შემარცხნე ᲮᲐᲠᲗᲘᲐ-ᲨᲘᲓ. ᲡᲐᲠᲔᲒᲘ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ.

წელიწადი მეხუთე

ᲡᲢᲠᲘᲒᲣᲜᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

გაზეთი „ᲡᲢᲠᲘᲒᲣᲜᲐ“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნოსტალგიერ
4 „ 15 „ „
საგანგებო განცხადებანი:
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონ.
4 „ 1 მ. „

№ 572 პარასკევი, სექტემბრის 14 1923 წ. ᲣᲞᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲤᲐᲡᲘ 200,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი
„ᲡᲢᲠᲘᲒᲣᲜᲐ“
ენკენისთვის 15-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	4.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	5 000.000 „
ცალკე ნომერი	200.000 „

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— იტალეთი მაგრდება კორფუზედ.
— საბერძნეთი სცლის კორფუს.
— ნიუ-იორკის ბირჟაზედ იაპონიის ვალიუტამ აიწია.
— სამხრეთ-სლავიამ იტალეთს სთხოვა გააგრძელოს ულტიმატუმის ვადა.
— იტალეთი ტრიესტის მიდამოებში ჯარებს აგროვებს.
— გერმანია-საფრანგეთს შორის სწარმოებს არა ოფიციალური მოლაპარაკება.
— იტალეთის ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ „ერთა ლიგიდან“ გამოსვლას.
— „ერთა ლიგის“ საბჭომ კიდევ გადასდო იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის საკითხი.
— ტრედ-უნიონების კონგრესი პროტესტს აცხადებს რურის ოკუპაციის გამო.
— ვატიკანი თავის დელეგატს აგზავნის მოსკოვში.

ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲡ

იაპონიის დიდი კატასტროფის შესახებ ბევრი ლაპარაკი ზედმეტია. იაპონიის ხალხი მიწის ძვრის ადგილებში უკიდურეს გაჭირვებაში არის ჩავარდნილი. ნაკლულება სურსათ-სანოვაგის, ბინის და სხ. ჩვეულებრივი მოვლენებია ასეთი საერთო კატასტროფის დროს. აშკარაა იაპონიის ხალხს დახმარება უნდა გაუწიოს ყველა ქვეყნის ᲑᲨრომელმა ალხმა და განსაკუთრებით საბჭოთა ქვეყნებმა.

მართალია მეტად რთულია ჯერ კიდევ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების პირობები, მეტად სუსტია და ღარიბი ჩვენი რესურსები, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებს შეუძლიათ ყოველგვარი ქვედა მოძრაობის გარეშე ხელი გაუწოდოს იაპონიის მშრომელ ხალხს. ვიცით ამერიკის შეერთებულ შტატებიდანაც გამოსცურავს გემები იაპონიის დახმარებისათვის, მაგრამ ისიც ვიცით, რომ „კომპესანციაზედ“ ყოველთვის ფიქრობს ამერიკის „ფილანტროპები“.

როდესაც რუსეთის დამშეულთ რძის კონსერვებს შესთავაზებდა ამერიკის ვაჭრობის მინისტრი ჰუვერი, მას მხედველობაში ქონდა რეალური ანგარიში, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ საბჭოთა ქვეყნები მძლავრი მოწინააღმდეგე იყო ამერიკის უმთავრესი მტერისა—ინგლისის, და ამ-დენათვე მტრის მტერის დახმარება უეჭველად „ფილანტროპიული“ საქციელი იყო ამერიკანიზმის მამებისათვის.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა ის პოლიტიკური-მნიშვნელობა, რომელიც აქვს იაპონიის უბედურებას. იაპონია-ინგლისის ურთიერთობა ამერიკისათვის არ იყო ხელსაყრელი არც ევროპისა და არც აზიის საქმეებისათვის. ამერიკამ თუ ევროპის სახელმწიფონი თავის მოვალეებად აქცია, აზიაშიაც საგრძნობლად გაიდგა ფესვები და შესძლო ეკონომიურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში თავისი ადგილის დაჭერა.

დღესაც ამერიკა შეეცდება ვულკანის მიერ დანთებულ ცეცხლზედაც მოითბოს ხელები. იგი შეეცდება იაპონიის უბედურების გამოყენებას თავის მიზნებისათვის.

იმპერიალისტების ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა ჯერ უცნობი ხილია ისტორიისათვის. რუსეთის და შეულებმაც მიიღეს დახმარება არა ოფიციალი წრეებიდან, არამედ ევროპისა და ამერიკის მშრომელი ხალხისაგან.

დღეს ყველაზედ უფრო მეტი მოვალეობა იაპონიის მშრომელი ხალხის წინაშე საბჭოთა ქვეყნებს გვმართებს. ჩვენ უნდა გაუწიოთ მათ ძმური დახმარება, უნდა შეუმსუბუქოთ ბუნების სტიქიისაგან მიყენებული უბედურება

უნდა დავანახოთ იაპონიის მშრომელთ, რომ მხოლოდ საბჭოთა ქვეყნების მშრომელნი არის მათი ინტერესების გამგები და მათ ჩვენთან შეუძლიათ თანაგრძნობის პოვნა ყოველგვარი საკითხის დროს.

გემი „ლენინი“ უკვე 11 სანიტარული რაზმი დაზარალებულთა დასახმარებლად. მას უნდა მოყვეს კიდევ და კიდევ დახმარებანი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ამ ახლო ხანად ფრანგულმა ჟურნალმა, „საზოგადოებრივი პროგრესმა“ ედუარდ ერრიოს საინტერესო წერილი მოათავსა: წერილი შეიცავს კრიტიკას საფრანგეთის დღევანდელ საგარეო და სამხედრო პოლიტიკისას. ერრიო არის მერი და დეპუტატი ქ. ლიონისა, წარმომადგენელი რადიკალური პარტიისა, რომლის წერილიც ნათელს ჰფენს საფრანგეთის დღევანდელ პოლიტიკის ანორმალობას; და როგორც საუკეთესო შეფასება თვით ფრანგი საზოგადო მოღვაწის ამ ანორმალური პოლიტიკისა, მოგვყავს სრულიად:

„რას შეიცავს საზოგადოთ ბიუჯეტი წარმოდგენილი პარლამენტში განსახილველად?

ავიღოთ ყველაზე უფრო ძლიერი, სამხედრო ბიუჯეტი.

როგორც ძმანი მათნი, ეგ ბიუჯეტიც ჩვენს წინაშე დევს მოავარ ტომად ცისფერ ყდაში. ეს არის ბიუჯეტთა ტრაციული ფერი. კიდევ მე-18 საუკუნეში. დიდი რევოლიუციის წინ, მორეპა მათ „ცისფერ ზღაპრებს“ უწოდებდა.

სამხედრო ბიუჯეტი 850 ფურცლიან ტომს შადგენს. მას, რასაც ჩვენ ბიუჯეტს უწოდებთ, ასეთი სათაური აქვს: „კანონ-პროექტი წარმოდგენილი დეპუტატთა პალატაში 1922 წ. საერთო ბიუჯეტის დასამტკიცებლათ“.

ბიუჯეტში, იმ სახით, როგორც წარმოდგენილია მინისტრის მიერ, შეტანილია საერთო შენიშვნები დეპარტამენტის გეგმისა და ტაბლიცა არმიის პირად შემადგენლობისა (ადამიანთა და ცხენების).

ხარჯები განაწილებულია ორ ნაწილად.

ხარჯები ორდინალური და ექსტრაორდინალური.

ზედმეტია განმარტება თავისთავად ნათელი განსხვავებისა ამ ორ კატეგორიათა შორის.

ორდინალურ ხარჯებს მხედველობაში აქვს არმიის მუდმივი საჭიროებანი.

ექსტრაორდინალურში შედის მოთხოვნილებანი დროებითნი და განსაკუთრებული პირობებისა.

შემდეგ ხდება ბიუჯეტის დანაწილება:

1. ხარჯები ორდინალური:
1. ჯარები მეტროპოლიისა (საფრანგეთი, ალჟირი, ტუნისი).
2. კოლონიალური ჯარები.
3. ახალი შენებლობა და მასალები.
4. მაროკო.
2. ხარჯები ექსტრაორდინალური:
5. საგანგებო ხარჯები გამოწვეული სამხედრო მოქმედებით.
6. საარის ოლქის საოკუპაციო ჯარების შენახვა.
7. შენახვა ლევანტიის ჯარებისა (სირია, მცირე აზია).
8. შენახვა აღმოსავლეთის ჯარებისა.

საინტერესო იყო ამ ხარჯების მუხლობრივ განხილვა, რათა ყოველი დეტალი ნათელი გახდეს.

თვით მომხსენებელი საბიუჯეტო კომისიისა კალარი დე ლამაზერი აღნიშნავს, რომ ორგანიულ კანონთა მივიწყება, რომელნიც შეფერის სურვილებს და მოთხოვნილებებს მშვიდობიანი დემოკრატიისა, აღნიშნულ ბიუჯეტს აძლევენ ხასიათს დროებითი ბიუჯეტისას.

„არმიის მართველობა, განაგრძობს ის: გრძელდება დაძველებულ საფუძვლებზე, რომლის გამოსწორებაც ემპირიულ—შემთხვევითი ხასიათით ხდება. ის იმყოფება ყველასაგან უარყოფილ რეჟიმის ქვეშ და მხოლოდ მისთვის განაგრძობს არსებობას, რომ კუს ნაბიჯით მიმდინარეობს საქმე ახალი რეჟიმის შექმნისა“. არმიის რეორგანიზაცია Ბრავალ სპეციალურ კანონებს მოითხოვს; კანონებს, შესახებ გაწვევისა, ორგანიზაციისა, სამსახურის წარმინებისა, კადრისა, ადგილობრივ მცხოვრებლებისა, ადმინისტრაციის და სხვ.; ზოგი ამ პროექტთაგანი, პარლამენტში უკვე წარმოდგენილია, მაგრამ განხილვა არც ერთს არ ეღირსა.

ბიუჯეტში 1922 წ. არ არის ძირითადი იდეა, რომელიც ყველა ამ საკითხებს აშუქებდეს კითხულობ რა ბიუჯეტის ამ ფუნქციებს რწმუნდები, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას შშვიდობიანი პოლიტიკა არა აქვს.

1922 წ. არმიის პიროვნული შემადგენლობა, უყურადღებოთ თუ დავსტოვებთ ლევანტიის არმიის (სირია) საკითხის გაურკვევლობას, შემდეგ სურათს იძლევა:

1. შინაგანი არმია	398,917	კაცი
2. აღჟირი, ტუნისი	63.533	„
3. მაროკო	85.951	„
4. სტამბოლი	6.926	„
5. ლევანტიის არმია (სირია)	50.000	„
6. მისიები	450	„
7. საარის ოლქი	7 765	„
8. რეინის საოკუპაციო ნაწ.	86.959	„
9. საპლებისციტო რაიონი	760	„
10 კონტროლი	465	„
სულ	701.726	კაცი

ლევანტიის არმიის რიცხვი ყოველ შემთხვევაში შემოკლებული იქნება (სირიის არმია შეამოკლეს 35,000-დე; შემდეგ შემოკლებაზე კი, პუანკარემ სასტიკი უარი განაცხადა.)

ამ ცნობებიდან, თვალში ეოთბაშათ გეცემათ გადაჭარბებული სიმრავლე ჩვენი არმიისა.

საფრანგეთს, მოსახლეობის და ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით არ შეუძლია იყოლიოს თოფს ქვეშ 700,000 კ.,—მას არ ძალუძს მაროკოში 85,000 კაციანი არმია იყოლიოს.

ეულებულობთ რა მხედველობაში დიდი მნიშვნელობას, რომელსაც გერმანეთის განიარაღებას ვაწერთ, და რომელიც საშვალებას მოგვცემდა ჩვენსავე განიარაღებისას, ვფიქრობთ, არის სრული უაზრობა, როდესაც ამ დროს საკონტროლო კომისიაში აღნიშნულია 465 კაცი, ხოლო წყნარს აღეირსა და ტუნისში კი,—60,000 კ.

რაც შეეხება ოფიცრობას მათი საერთო რიცხვი 36,000 აღწევს.

ეს უბრალო ციფრები საშვალებას გვაძლევენ ვსთქვათ, რომ ჩვენს არმიაში რეორგანიზაცია არ მომხდარა. „მთელი აპარატი ბოროტმოქმედებათა და ᲛᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐ—შენახულა“. საფრანგეთი ყველგანაა: რეინზე, აზიაში, სტამბოლში, ჩრდილო აფრიკაში, სილეზიაში, მემელში, მსოფლიოში გაბნეულ ჩვენს კოლონიებში; ჩვენი ოფიცრები მისიებში: პრაგაში, ვარშავაში, სამხრეთ ამერიკაში და სხვ.. ასეთი განუსაზღვრელი გაფართოებით ფრონტებისა, რიგები თხელდება.

ამნაირათ, ბიუჯეტიდან ვიგებ, რომ თოფს ქვეშ 700,000 კაცი გვყავს, შეუძლებელია უშიშროებაში დარწმუნებული ვიყოთ.

„ეს წყეული რკალი—სწერს კალარი დე ლამაზერი—აღსავსეა საშიშროებით, რომლიდანაც გამოსვლა მხოლოდ პოლიტიკის გამოცვლით შეიძლება. ჩვენ დავრჩებით ამ საშიშროებათა რკალში, თუ ერის სრულუფლებიანი წარმომადგენელნი სამშობლოს სამსხვერპლოზე არ მიიტანენ მსხვერპლს, ნაკარნახევს მონების მიერ, აუცილებელს ქვეყნისათვის, მსხვერპლს სახსნელად სამშობლოისა, ჩვენი რეპუტაციისა, ვინაიდან მსოფლიო შეწუხებულია მით,—რასაც შეუფერებლად—უწოდებენ ჩვენს იმპერიალიზმს“.

ნათელია.

ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდიეართ: პოლიტიკას, რომელსაც დღემდე მისდევდა „ნაციონალური ბლოკი“ აქვს ყველა თვისებები იმპერიალიზმისა: სხვა სიტყვებით: დღევანდელ საფრანგეთს პრინციპების და მოთხოვნილებების შესაფერი პოლიკა არა აქვს.

საინტერესო ფაქტი! როდესაც საქმე მიდის ახალ აღმშენებლობაზე, 3—4 გადაყოფაზე, ყველაზე მეტათ ეკონომიის აუცილებლობის თვალსაზრისზე დგას „ხალხთა თავდაცვის უმაღლესი საბჭო“.

სად არის აქ გეგმა?

ცდილობენ შეინარჩუნონ მთლიანათ 1918 წ. სამხედრო მასალა? თუ აქვთ მხედველობაში რომელიმე ახალი ომი, რომლის დრო და ხასიათი გაურკვეველია და ცდილობენ შექმნან ახალი მასალა, ახალი იარაღები? თუ ერთ და იმავე დროს ორივე მიზნის შესრულებისაკენ ისწრაფვის? ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ დღევანდელ დასუსტებულ ვერმანეთს თუ მივიღებთ, მხოლოდ 1918 წ. სამხედრო საშვალებათა და მასალათა შენახვაც სრულიათ საკმაოა. წმინდა წყლის სისულელე იქნება საფრანგეთი გავსრისოთ აღნიშნული ბიუჯეტით, რომელიც შეიცავს უზარმაზარ თანხას ისეთი საალმშენებლო გეგმისას, რომელიც უერო ადრე დაძველდება, ვიდრე გამოყენებულ იქნებოდეს. უნდა გვრწამდეს, საფინანსო კომისია არ მისცემს საშვალებას ახალ საალმშენებლო კითხვებში საზღვარის გადაცდომისას.

ღია სწავლა, მუდმივ მომქმედი ლაბორატორიები აი ნამდვილი პროგრამა; ყველა დანარჩენი უაზრობა და გაფლანგველობაა.

მაგრამ გავყვებით კი ბრძნულ სიფრთხილეს?

თუ გინდ გავიხსენოთ, რომ 3-მე გადაყოფის დროს, როსელიც განსაკუთრებული დაკვირვებით უნდა მომხდარიყო, რამდენიმე ხერელე შენიშვნების და მცირე შესწორებით დავკმაყოფილდით, რომელიც თვით სისწრაფემ, არარათ აქცია.

სამხედრო მინისტრი თავის „ცისფერ წიგნში“ ახალ სტრატეგიულ ხაზების ასაგებათ მოითხოვს 16 მილ. ფრ., 35 მილ. არტილერიის საჭიროებისათვის, 4 მილ. სავარჯიშო მინდვრების მოსაწყობად, 63 მილ. ავიაციისათვის (რომლიდანაც 29 მილ. ანგართა აგებას მოხმარდება), 5 მილ. საჰაერო არტილერიისათვის და სხვ.

მომხსენებელის წყალობით საფინანსო კომისიამ აღნიშნული თანხის თვალსაჩინოთ შემცირება გადასწყვიტა: 4 მილ. რკ. გზას, 23 არტილერიას, 13 საჰაერო ფლოტის მოთხოვნილებისათვის. ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ავტოოთა მიერ ამ შესწორებათა უყოყმანოთ მილება ამტკიცებს, თუ ოა პირობებში სწარმოებდა ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ შედგენა.

სამხედრო სფეროსათვის მხოლოდ ერთი წესი არსებობს: მოითხოვოს რაც შეიძლება მეტი. ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა? როგორ, ღირს ფიქრი? ეს ბოდვაა, მოგონებაა პარლამენტის დეპუტატთა მიერ და შემდეგ, როდესაც ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ დამტკიცდება, ახალ კრედიტს მოითხოვენ.

ამავე დროს, უნივერსიტეტის საჭიროებისათვის, დიდის ვაი ვაგლახით ერთი მილიონი ფრ. მივიღეთ. ეს ერთი მილიონი უნდა განაწილდეს საფრანგეთის ყველა უნივერსიტეტთა შორის, რომლებიც ვიწრო შენობებში იხუთებიან.

ეს მახინაციები, თვით სამხედრო თვალსაზრისითაც დაუშვებელია. საფრანგეთს ახლო მომავალში ომის საშიშროება არ უნდა ჰქონდეს.

თუ ის ვერ შესძლებს მტკიცე ზავი განამტკიცოს, სერიოზული საშიშროება მოელის არა უადრეს 5—10 წლისა.

როგორი იქნება მაშინ ჩვენი ფინანსების მდგომარეობა სამხედრო წრეებს რომ გავყვეთ?

მთელი ჩვენი ადმინისტრაცია დაჩაჩანაკდა, ჩაეფლა რუტინაში, დაჰკარგა უნარი ინიციატივისა.

ყველა, ვინც კი არის სამხედრო წრეში აქტიური, ახალგაზრდა, მოძრავი ჩვენთან ერთად აღელვებულია დაავადებული ორგანიზმის ამ სკლეროზით. ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ განხილვამ დაამტკიცა, რომ ეს ყოველივე უნდა მოისპოს, შეიცვალოს, განახლდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში—ნელი სიკვდილია.

ამავე დროს მოხელეთა კადრი მრავალრიცხოვანია. ცენტრალურ სამხედრო სამართველოში ითვლება 618 ოფიცერი, 668 სამოქ. მოხელე, რომელთაგანაც 273 მანქანაზე მბეჭდავი და სტენოგრაფის მომუშავენი არიან, 136 ტექნიკური მოხელენი, ექიმები და სხვ.

მხოლოდ ბეჭდვაში 4 მილიონი იხარჯება; დეპეშები ჯდება 2 მილიონზე მეტი.

ამავე დროს 20 სამხედრო სასწავლებელი გვაქვს. მე ამ საკითხის შესახებ შესწორება შევიტანე, მაგრამ არ გავიდა, ვინაიდან მინისტრმა უეცრად ნდობის საკითხი დასვა.

როგორ, უკანასკნელ შემთხვევაში არ შეგვეძლო შეგვერეთებინა სენ-სირის და სენ-მეკსანის სასწავლებლები? უკეთესი არ იყო გვქონებოდა რამდენიმე და კარგად მოწყობილი სასწავლებელი, ვიდრე მრავალი წვრილი სკოლები შტაბების და კადრების შესაესებათ.

გენერალური შტაბის განკარგულებაშია 235 გენერალი, რომელთაგანაც 7 სასწავლებლების ხელმძღვანელებადაა, 3—სამხედრო ატაშეთ, 9 საგარეო მისიებში.

ექსტრაორდინალური მისიები სხვა და სხვა ხარჯებისათვის 10 მილ. მოითხოვენ.

იმ მუხლში ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲐ, რომელიც მათ შეეხება, ნათქვამია: მისიათა სიმრავლის გამო საჭიროა შექმნა სპეციალური კავშირისა სამინისტროსა და მათ შორის.

ეხლა ჩვენთვის ნათელია, რამდენათ მართალია კალერი დე ლამაზერი, რომელმაც მას უწოდა „აპარატი ბოროტმოქმედებისა და შეცდომებისა“. ასეთი რამ შორსაა „ხალხის თავდაცვისაგან“—სად მივდიეართ!“

რაღიო-ტელეგრამები

ზაპროსტას ცნობგეგი 13 სექტემ-ბრიდან

იტალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი

რომიდან ბერლინში მიღებულ ცნობით იტალიის ჯარმა დაიჭირა კუნძული ლეროსი. კორფუზედ იტალიელებმა გახსნეს საკუთარი ფოსტის განყოფილება, რომელშიაც თვითონვე მსახურობენ. კორფუს ევაკუაციის ვადის საკითხმა შეიძლება ხელმეორედ გაართულოს მდგომარეობა.

„ტაიმსი“ და „დეილი ტელეგრაფი“ იტალიიდან მიღებულ ნახევრად ოფიციალურ ცნობებიდან ასკვნიან, რომ იტალიას განზრახვა აქვს დარჩეს კორფუზედ იმ დრომდე, ვიდრე საერთაშორისო სამედიატორო სასამართლო არ გადასწყვეტს, თუ რამდენი უნდა გადაუხადოს საბერძნეთმა იტალიას აფიცრების ბოკვლისათვის; ეს კი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვევა.

ინგლისის ცნობების თანახმად, იტალია აპირებს გახსნას კორფუზედ საბაჟო სამმართველო და განაგრძობს ზომების მიღებას კორფუს შესანარჩუნებლად, როგორც საწინდარი.

რუმინეთის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რათა საბერძნეთის მართებლობამ დასტოვოს კუნძული.

ჰავასის სააგენტოს ცნობით ელჩთა კონფერენციისადმი მიმართულ საპასუხო ნოტაში, საბერძნეთი სთანხმდება ყველა მოთხოვნილებებზედ, მხოლოდ მოითხოვს კორფუს საჩქარო ევაკუაციას.

რომის გაზეთების ცნობით იტალეთი კორფუს ევაკუაციის პირობად წამოაყენებს იტალიის ოფიცერთა მკვლელობის წარმატებით გამოძიებას.

მინისტრთა საბჭოში მუსოლინმა განაცხადა, რომ იტალია კორფუზედ დარჩება იმ დრომდე, ვიდრე სმბერძნეთი არ შეასრულებს ყველა ვალდებულებებს. იტალია უარს ამბობს ახლავე დანიშნოს ევაკუაციის დრო.

ელჩთა კონფერენციამ მუსოლიხს მიმართა წინადადებით 18 და 25 სექტემბრის შუა დანიშნოს გარკვეული დრო, როდის შეუძლია საბერძნეთს დააკმაყოფილოს იტალია და როდის შეუდგება უკანასკნელი კორფუს ევაკუაცია.

ფაშისტთა ოფიციალური ორგანო „პოპოლო და-იტალია“ და მთავრობის ოფიციოზი „ტრიბუნა“ მოითხოვენ, რომ იტალია გამოვიდეს ერთა ლიგიდან და გაინთავისუფლოს ხელები: ამასთანავე „პოპოლო და იტალია“ „ერთა ლიგას“ უწოდებს „საერთაშორისო შეთქმულებათა“ ორგანოს, რომელიც ცალკე სახელმწიფოთა თავისუფლებას ზღუდავს.

„ერთა ლიგის“ საბჭოს სხდომაზედ იაპონიის დელეგატმა იშიმძა წინადადება შეიტანა გადადებულიყო იტალეთ—საბერძნეთის კონფლიქტის განხილვა, რათა საკითხი არ გართულდეს და ხელი არ შეუშალოს მის მშვიდობიანად გათავებას. წინადადება საბჭომ მიიღო.

მუსოლინმა „დეილი მეილის“ სპეციალურ კორესპოდენტს განუცხადა, რომ იგი მეტად ნაწყენია კონფლიქტში ინგლისის საზოგადოებრივ აზრის მტრული განწყობილებით და თუ იტალეთ-ინგლისს შორის გულგრილობა ჩამოვარდა, ეს იტალიის ბრალი არ იქნებაო.

გერმანიის ამბები

ბერლინი. გაზეთ „ჩიკაგოს ტრიბუნა“-ს კორესპონდენტს ბერლინში დიპლომატიურ წრეებში განუცხადეს, რომ გერმანიასა და საფრანგეთს შორის დაიწყო მოლაპარაკება რურის რეპარაციის შესახებ. მდგომარეობა გამოირკვევა ერთი კვირის შემდეგ. თუ მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, მაშინ შტრეზემანის მთავრობა უემვეოლად დაეცემა და დაიწყება რევოლიუცია.

ლონდონი. „დეილი მეილის“ ბერლინის კორესპოდენტი იტყობინება, რომ შტრეზანს გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს შეთანხმებას საფრანგეთთან და ამ მიზნით უნდა საფრანგეთს გადასცეს გერმანიის მთელი წარმოების შემოსავლის 30 პროცენტი. იმავე გაზეთის პარიზის კორესპოდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთის ელჩსა და შტრეზემანს შორის და აგრეთვე საფრანგეთისა და გერმანიის ნახშირისა და ლითონის მწარმოებელთა შორის წარმოებული არა ოფიციალური მოლაპარაკება პუანკარეს მიერ არ იქნება ცნობილი იმ დრომდე, ვიდრე გერმანია არ მოსპობს პასიურ წინააღმდეგობას.

ლონდონი. დრეზდენში რატუმის წინ უმუშევართ სისხლის-მღვრელი შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან. შეტაკება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პოლიციამ აღკრძალა „უმუშევართა რევოლიუციონურ საბჭოს“ მიერ მოწვეული კრება. აჯანყებულმა უმუშევრებმა თავისი დაჭრილები ავტომობილებზედ წაიღეს.

ბერლინი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრო ოფიციალურად ადასტურებს, რომ საფრანგეთსა და ბელგიას გერმანიისაგან არავითარი ნოტა არ მიულიათ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ ცნობით, ნამდვილია მხოლოდ ის, რომ საფრანგეთის ელჩი რამდენჯერმე ესაუბრა შტრეზემანის და ეს კი, ამბობს გაზეთი, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სოციალ-დემოკრატიულ და პარლამენტის წრეებში აცხადებენ, რომ ხმები მოლაპარაკების შესახებ არ არას საკვირველი, რადგანაც უკანასკნელ კვირაში რეიხსკანცლერმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ გერმანია მზადაა საფრანგეთთან შეთანხმებაზედ, რათა გადასწყდეს რურის კონფლიქტი.

ბერლინი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა ვალიუტის საკითხი მოაგვაროს განსაკუთრებული ბანკის შექმნით, რომელიც გამოუშვებს ოქროთი, უცხოეთის ვალიუტის და საქონლის თამასუქებით უზრუნველყოფილ ბანკნოტებს. ამ ბანკს ექნება დამოუკიდებელ კერძო ბანკის ხასიათი, ხოლო კავშირი ექნება სახელმწიფო ბანკთან. ქაღალდის მარკები დროებით დარჩება, ხოლო მათი კურსი ოქროს ბანკნოტთან შედარებით ჯერ გამორკვეული არ არის.

ბერლინი. გერმანია-საფრანგეთის არაოფიციალურ მოლაპარაკებას მოჰყვა შედეგები: ფრანგებმა კრუპპი და მისი ქარხნის 3 დირექტორი ციხიდან გადაიყვანეს კერძო ბინაზედ. მეორეს მხრით, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ცირკულიარი, რომლითაც ფრანგების მიერ დაპერილ ოლქის სახელმწიფო მოსამსახურეთა და გაზეთების რედაქტორი მადლობას უხდის სასახელო მოქმედებისათვის პასიურ წინააღმდეგობის დროს 7 თვის განმავლობაში. ცირკულიარი ისეთს გავლენას ახდენს, თითქოს გერმანიის მთავრობა მცხოვრებთ ბრძოლის მოსპობისათვის ამზადებს.

პარიზი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ რურში პასიურ წინააღმდეგობაზედ ხარჯების შემცირება ხელს შეუწყობს ახლო მომავალში გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკების დაწყებას. დადის ხმები, ვითომც საფრანგეთის მთავრობა ამის შესახებ გერმანიისაგან ნოტას ელოდება 48 საათის შემდეგ. ამასთანავე ერთად საფრანგეთში იზრდება გერმანიისაგან რეინის ოლქების ჩამოშორების მიმართულება. „ჟურნალ ინდუსტრიელი“ ფიქრობს, რომ შტრეზემანის ახალი რეფორმების გამო რეინის მცხოვრებთა საფრანგეთისაკენ გადახრა ადვილი საქმეა. გაზეთის აზრით ამ საკითხის გამო შესაძლებელია კონფლიქტი საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

ბერლინი. გერმანიის ოფიციალური პრესა დამვინში წარმოთქმულ პუანკარეს სიტყვას სოციალ-პირველ ნაბიჯად შეთანხმებისაკენ.

ბერლინი. მთავრობის წრეებში არ უარყოფენ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობებს, ოღონდ ამ წმუნებიან, რომ მოლაპარაკების [illegible] ლური ხასიათი. [illegible] ტკიცებენ, რომ მოლაპარაკებას ოფიციალური ხასიათი აქვს. უკვე ლაპირაკობენ პარიზში გერმანიის ელჩის კანდიდატურაზედ.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკების პასუხად ბირჟაზე მარკის დაცემით უპასუხა.

ბერლინი. საქსონიის ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ემზადება გესლერის წინაღმდეგ ცეიგნერის საბრალმდებლო მასალების განსახილველად. ცეიგნერის მასალები სახელს უტეხავენ რესპუბლიკის პრეზიდენტს ებერტს, რომლის პარტიიდან გამორიცხვის შესახებაც აღძრულია საკითხი.

ბერლინი. დრეზდენში ცეიგნერის თანადასწრებით შესდგა პროლეტართა დიდი დემონსტრაცია, რომელსაც დაესწრო 6,000 კაცი.

ბერლინი. ტიურინგში მემარჯვენე და კომუნისტური პარტიების მიერ შეტანილია წინადადება სოც.-დემოკრატიულ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. მთავრობა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს შეეკითხა, დაიწყოს თუ არა მოლაპარაკება კომუნისტებთან, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო. ეს მოლაპარეობა გამოიწვევს ტიურინგიის მთავრობაში შემარცხენე ელემენტების მოწვევას.

ბერლინი. ტიურინგიაში მიუხედავად მთავრობის აღკრძალვისა ფაშისტები შეეცადნენ მოეწყოთ ფაშისტური დღე გოტეში.

შეკრებილნი გაფანტა პოლიციამ კომუნისტებმა მოაწყვეს ანტი ფაშისტური დემონსტრაცია.

ბერლინი. დრეზდენში ხელმეორედ დაიწყო უმუშევართა მღელვარება. პოლიცია ესროდა დემონსტრანტებს, რომელნიც ცდილობდნენ მუნიციპალიტეტში შესვლას. მოკლულია 6 კაცი.

ბერლინი. ფრანგებმა გასჩხრიკეს რეკლინგაუზენში კომპარტიის მეთაურები: დაპატიმრეს ადგილობრივ სექციის თავმჯდომარე. ამავე დროს გასჩხრიკეს კომუნისტურ ორგანოს დორტმუნდის რედაქცია.

ვენა. „ერთა ლიგის“ კომისარმა ავსტრიის საქმეებში, ციმერმანმა, პრესის თანამშრომლებთან საუბარში გამოსთქვა, რომ გერმანიაში, მისი ფინანსიური აღორძინებისათვის, მიზანშეწონილი იქნებოდა ავსტრიის სესხის წარმატებას, რომელიც ამტკიცებს საერთაშორისო - გარანტიის სისტემის სარგებლობას.

ძველი თამასუქები

4.

მემარცხენე ფედერალისტები და კომუნისტები

ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ შეუდექით სისტემატიურ კამპანიას. 1919 წლის 15 თებერვლის ნომერში წერილი დავსტამბეთ „კომუნისტები და სპარტაკელები“. საით მოემართეთ ქართველ ხალხის გულისყური? „ბურჟუაზიული სახელმწიფო—ვწერთ ჩვენ თვით ისტორიულმა პროგრესმა დაფლითა და დაგლეჯა, ხოლო დღეს მუშათა კლასი ცდილობს ეს დაფლეთილი სახელმწიფო მოსპოს მთლიანი, **ახალი, მაგრამ სოციალისტური სახელმწიფოს აგებით.** ადვილად ამ ისტორიულ მიზნის განხორციელება ოცნებაა, ჯერ არც ერთი რეფორმა არ მომხდარა ადვილად და წყნარად, მაგრამ თანამედროვე **პრინციპი, რომელიც სარჩულად უდევს პროლეტარიატის სახელმწიფოს აგებას, ჩვენთვის აშკარაა: კომუნისტური პრინციპის თანდათან გატარება**“.

კომუნისტური მოძრაობა ჩვენ მივიჩნიეთ ცხოვრების გულის მოძრაობად. იქვე და იმ დროს ჩვენ ვწერდით: „რუსეთში სოც. დემოკრატია ამ ჟამად სავსებით მოსპობილია. ძველი მოძღვრების სოც.-დემოკრატები გამოიქცნენ ჩვენში და ჩვენში აკეთებენ ძველის ძველ საქმეებს. წერეთლები და ჩხეიძეები იყვნენ რუსეთში მანამდისინ, ვიდრე მათი პრინციპი არ ჩამორჩა რევოლიუციას, ხოლო რევოლიუციის ახალი ლოზუნგებს შემდეგ ისინი მოშორდნენ რუსეთს. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პროცესი არის მარტო წერეთლის და ჩხეიძის ტრაგედია, არა, ეს სოც.-დემოკრატიის, როგორც პარტიის ტრაგედიაა და მართლაც, როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში დღეს სოც.-დემ. პარტია ან სრულიად გამქრალია, ან თანდათან ქრება. რუსეთში სოც.-დემ. პარტიის ნანგრევებზე დაარსეს კომუნისტური პარტია, ხოლო გერმანელების სპარტაკელები ივივე კომუნისტები არიან. **მდგომარეობა შეიცვალა, გამეფდა ახალი აზროვნება, ახალი გზა მიეცა ხალ პოლიტიკას. ეს ახალი მოაზროვნენი (კომუნისტები) ეროვნებას და კოოპერაციას კი არ უარყოფენ—არამედ იცავენ, სოციალიზაციას და კომუნიზმს კი არ სპობენ—ქმნიან და ამაგრებენ**“.

კომუნისტური მოძრაობა ცხოვრების, ახალი ცხოვრების მოძრაობაა, მისი მომავალი—ფრთების გაშლა, გაძლიერებაა. 19 წლის თებერვალში ვწერდით: „**როგორც მთელი ახალი მოძრაობა, რომელიც შეეფერება ცხოვრების რეალურ პირობებს, იზრდება და ვითარდება, ისე თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა და რევოლიუციონერ იზრდება და ვითარდება.** თანამედროვე ისტორიას პარიზი ვერ დასწერს, ვინაიდან პარიზის იმპერიალისტების პრინციპები ძირ-ფესვიანად ეწინააღმდეგებიან ხალხის და ეროვნების პრინციპებს. **პარიზის კონფერენცია გაუგებარი და სიძულვილის საგანი იქნება მსოფლიოს დემოკრატიისთვის, ხოლო ძალიან გასაკვირი და მოძრაობის ხულის ჩამდგმელნი იქნებიან კომუნიზმის მედროშენი**“.

ჩვენ მოგვყავს მთელი რიგი არგუმენტაცია კომუნისტური რევოლიუციის ასახსნელად, გასამართლებლად. დღეს, როცა ამ სტრიქონებს კითხულობს მკითხველი-რასაკვირველია—ყოველივე ეს მაზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს, ის ყოველ დღე ისმენს ასეთ სიტყვებს, მაგრამ 1919 წლ. ზამთარში, თებერვალში, როცა არც ერთ რევოლიუციონური ორგანო არ არსებობდა, როცა ყველგან რამიშვილის მათრახი ბატონობდა, როცა ბოლშევიკები და რუსეთის რევოლიუცია ბარბაროსობად იყო მონათლული და რასაც ყოველდღე ათახსირებდა საქართველოს მძლავრი სოციალ-დემოკრატია, მაშინ—ვინ არ გაიგებს—რა განუზომელი მნიშვნელობა ქონდა ჩვენს კამპანიას.

ჩვენ ვამტკიცებდით: „იმპერიალისტები ჯცდილობდნენ რევოლიუციის მოსპობას, მაგრამ რევოლიუცია ღებულობს საერთაშორისო ხასიათს, მისი მასშტაბი იცვლება და ევროპის წინაშე იშლება ახალი ხანა. თანამედროვე ცხოვრების ახსნა განმარტება შეუძლებელია ძველი მოსაზრებებით. ძველი ამბებით, ძველი ანალოგიებით. **რუსეთი და გერმანია—ევროპის უუდიდესი ქვეყნებია და რევოლიუციის ეს ბუმბერაზი, ფიზიკურად და მატერიალურად მძიმე იარაღი ხელს უწყობს ახალ რევოლიუციონური კოცონის გაჩაღებას.** თანამედროვე რევოლიუცია გამბედავია და მოუსვენარი, ხალისიანი და ბობოქარი, რეაქციონური ბურჟუაზია—მხდალი, სუსტი, უაზრო, მოდუნებული. ერთი სიტყვით, იმპერიალისტური რეაქცია ისევე იღუპება როგორ იღუპება თვით ბურჟუაზიული სახელმწიფო 1914 წელში კ. ლიბკნეხტი რეიხსტაგში სამხედრო საჭიროებისათვის კრედიტის წინააღმდეგ კრინტის დაძვრას ვერ ბედავდა. ამ ჟამად ციე სამარეშია ჩაგდებული ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ცხედარი, მაგრამ ნუ თუ ყველა არ ხედავს, **რომ ლიბკნეხტის სილუეტი მოსვენებას არ აძლევს სოციალისტურ მსოფლიოს, ხოლო სპარტაკელების მოძრაობა არასოდეს ისე არ გაზრდილა, როგორც ის დღეს არის გაზრდილი**“.

ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს მრწამს და ქართველ ხალხს გეზს უჩვენებთ, იქვე ვსწერთ: „**დიალ, ჩვენ გვწამს ცხოვრების ახალი ხანა, ჩვენ ვხედავთ თანამედროვე ომისა და რევოლიუციის შემდეგ ახალ მომავალს და ამ მომავლის ისტორია ჩრულიად შეიძლება იქ არ იწერებოდეს, საითკენაც ამ ჟამად საქართველოს დელეგაციაა წახული. საერთაშორისო კომედიასაც თავისებური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისტორიის ფურცლები იქმნებიან რევოლიუციის მიერ, რომელიც არც გამქრალა, არც დამცხრალა. ევროპა სწორედ დღეს არის რევოლიუციის განვითარების ხანაში**“.

საქართველოს გლეხკაცობა ღრმად უნდა იყოს დაინტერესებული სოციალისტური რევოლიუციით. „სადაც რევოლიუცია გაფართოვდა და გაღრმავდა—ვსწერდით ჩვენ 19 წლის 20 თებერვლის „სახალხოში“—ე. ი. სადაც რევოლიუციამ თანამედროვე ბარათი მიიღო, იქ გლეხობა აქტიურია და მხნე. რევოლიუცია ისევე სასარგებლოა სოფლისათვის, როგორც ქალაქისათვის. რუსეთში გლეხობამ სოციალიზაცია გამოაცხადა და მთელი მიწა უკვე მის ხელშია, ვინც მუშაობს. რუსეთში არც ღალა არსებობს. არც რენტა. ასეთ გზას ადგება რევოლიუცია გერმანიაში“.

მაგრამ თუ ჩვენი მშრომელი გლეხკაცობა უკმაყოფილოა, ეს ხდება იმიტომ კი არა, რომ რევოლიუციაა ცუდი, არამედ იმიტომ, რომ სოც.-დემოკრატიული მთავრობა ბურჟუაზიას მისდევს. იქვე ჩვენ ვწერთ: „საქართველოს სოც.-დემოკრატია პროლეტარიატიდან მიდის ბურჟუაზიისაკენ და ბურჟუაზიით ქმნის საქართველოს სახელმწიფოს... აი ამ ნიადაგზე გამწვავდება მდგომარეობა.“

ჩვენს ხალხს ვერ დავაკმაყოფილებთ თუ სოციალისტური პოლიტიკა არ ვაწარმოეთ. 22 თებერვლის ნომერში (19 წ.) ჩვენ ვწერთ სოც.-დემ. წინააღმდეგ: „**საქართველოს ეკონომიური ცხოვრება იტანჯება არა სოციალიზმის და დემოკრატიზმის განვითარებით, არამედ სოციალიზმის და დემოკრატიზმის განუვითარებლობით.**“ (ხაზი ძველადაა გასმული). ჩვენ ვაღიარეთ საქართველოს ბურჟუაზია ყაჩაღებად, ბანდიტებად. იმავე ნომერში ვსწერთ: „სოციალ დემოკრატია ამ **ბანდიტებში** (ბურჟუაზიაში) ხედავს პროგრესის ნიშნებს, სოც.-ფედ. პარტია ამ **ბანდიტებს** სთვლის რეტროგრადულ ძალად“.

ეკონომიური ცხოვრების კანონები და რევოლიუციის ბუნება ჩვენ გვისმოდა საღად. 26 თებერვლის ნომერში ჩვენ ვსწერთ (19 წელი): „მარქსისტულ, მეცნიერულ სოციალიზმიდან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია იღებს მთავარ დებულებას: 1. კაპიტალიზმის კრიტიკას, 2. მარქსის მოძღვრებას კაპიტალიზმის დაღუპვის შესახებ“.

ჩვენი პარტიის მიმართულება უნდა იყოს აშკარა კოლექტივისტური. იქვე ჩვენ ვამბობთ: „თანამედროვე ცხოვრებაში არავითარ კერძო შემთხვევას, არავითარ ძალიან კარგად დაწყებულ ერთსა და ორს კომუნას არ შეუძლიან იარსებოს **თუ მთელი სახელმწიფოებრივი პრინციპი არ შეუთანხმდა კომუნისტურ პრინციპებს. ბეკერების და კრინიცელების პრაქტიკა საბოლოოდ და არსებითად კომუნიზმის დამასამარებელია. საქართველოში ქართველი ხალხისათვის კომუნიზმის პოლიტიკა მოაქვს სოც.-ფედერალისტთ. პარტიას.**“

რევოლიუციას და სოციალიზმს უნდა ემსახურებოდეს ერის ყოველი სასიცოცხლო ძალა, როგორც შინ, ისე გარეთ. ჩვენმა სახელმწიფომ რევოლიუციონურ ევროპასთან უნდა დაიჭიროს საქმე. 1919 წლის 5 მარტის ნომერში ჩვენ ვწერთ: „ჩვენში სახელმწიფო ისეთ ფეტიშად არის წარმოდგენილი, თითქოს რევოლიუციის სამსახური ევალება მხოლოდ პარტიებს და არა სახელმწიფოს. ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს გამარჯვებულ პარტიის სახელმწიფოს სათავეში გაყენანა კი არა, **არამედ ეს უნდა მოასწავებდეს რევოლიუციონურ ხალხის ხელში სახელმწიფოებრივი რესურსის გაჩენას და რევოლიუციის მთავარი მიზნისათვის სახელმწიფოს გამოყენებას**“.

სოციალ-დემოკრატიამ ჩამოგვაშორა და შეგვარცხვინა რევოლიუციონურ ევროპასთან: „როცა სოც.-დემოკრატია არ იყო სახელმწიფოს სათავეში—ეწერდით ჩვენ იქვე—ევროპა ჩვენ გვიცნობდა როგორც რევოლიუციის ხალხს. დღეს კი, როცა სახელმწიფო დავაარსეთ რევოლიუციონური ევროპა ამას აღარ ხედავს. საქართველო იყო რევოლიუციონური, მაგრამ იგი დღეს აღარაა რევოლიუციონური“.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია რევოლიუციიდან გარიყვა: „რევოლიუციისაგან გარიყვა, იმპერიალიზმზე იმედების დამყარება შეუწყნარებელია არა მარტო რევოლიუციონურის ზნეობის თვალსაზრისით, არამედ თვით სარგებლობის პრინციპიდანაც“. დეე ახსოვდეს ყველას ვაცხადებთ ჩვენ: „ევროპის იმპერიალიზმი ბრესტლიტოვსკის დროს უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღეს, ხოლო სოციალიზმი უფრო ძლიერია დღეს, ვიდრე იყო ციმერვალდის ხანაში“.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ჩვენი სახელმწიფო ცხოვრების გეზის შეცვლას: „**სოც.-ფედ. პარტია—ვაცხადებდით იქვე—გადაჭრით მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს კურსის შეცვლას, ჩვენ მოვითხოვთ ახალ გზებით სიარულს, ახალ პრინციპების წამოყენებას, მაგრამ თანამედროვე ევროპიულ კულტურას ქმნის სოციალისტური და დემოკრატიული ევროპა და არა იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული ევროპა**“.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლიან ჯერ კიდევ წერტილი დავსვათ. შეიძლება ამხ. ი. ბ.-მ იფიქროს: საწყალს ღლონტს თავის უამრავ წერილებში ორიოდე დებულება ამოუკრეფიაო! ერთხელ და სამუდამოდ რომ გავაცნოთ ჩვენი წარსული, ჩვენი მუშაობა, ჩვენი მთავარი მიმართულება, დეე გამოგვყვეს ამხ. ი. ბ.-ი და ბარემ ბოლომდის გვითვალთვალოს. აქ კი აღვნუსხავთ, რომ ამ ხასიათის შემეცნება არის არა აქა-იქ გაფანტული დებულება, არამედ მთელი ჩვენი აზროვნობის საფუძველი, ჩვენი სული, ჩვენი გული და რასაც ვწერთ ამაში რაიმე აზრს კი დაინახავს ამხ. ი. ბ.-ი.

ჩვენ არ ვეხებით მარტო ერთ რომელიმე საგანს. ჩვენი ცხოვრების ყველა რთული საკითხი იყო ჩვენი მსჯელობის საგანი და ამიტომ შევეცდებით ყოველი საგანი განვიხილოთ, რომ ყოველ მოვლენისადმი ყველამ იცოდეს ჩვენი აზრი და დამოკიდებულობა.

ხუმრობა საქმე ხომ არ არის. აზრი თებერვლის გადატრიალების (1921 წელი) შემდეგ შეიცვალეთო, თქვენ მართლა მოღალატე ხართ თქვენი

ფიუმეს საკითხი

ბერლინი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ სთხოვა იტალიას გაგრძელოს ვადა თავის ულტიმატუმს (ვადა უთავდება 15 სექტემბერს) რათა შესაძლებელი იყოს მოსდგეს შვეიცარიის არბიტრაჟი.

რომი. ორივე სახელმწიფოს გარეშე საქმეთა სამინისტროები — იტალიისა და სამხრეთ-სლავიისა ფიუმეს საკითხზედ მოლაპარაკებაში თავდაჭერილ პოლიტიკას აწარმოებენ. საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, მოლაპარაკება გაგრძელდება. მუსოლინმა განაცხადა, რომ იგი წინააღუდგება უცხო სახელმწიფოს ჩარევას. ბენეში და პუანკარე ყოველ ღონეს ხმარობენ საკითხის მშვიდობიანად გადასაწყვეტად.

რომი. ოფიციალურ წრეებში დარწმუნებული არიან, რომ სამხრეთ-სლავია წავა კომპრომისზედ, რომელიც გამოცხადებული იყო სამხრეთ-სლავიის დელეგაციისა და პარიტეტულ კომისიის მიერ, მუსოლინი კი აცხადებს, რომ იგი არავითარ დათმობაზედ არ წავა.

რომი. ტრიესტის მიდამოებში შეგროვილია „იტალიის ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი". ვითომც მომდგომის მანევრებისათვის. ნამდვილი მიზეზი კი ის არის, რომ იტალია ემზადება იმ შენთხვევისათვის, თუ სამხრეთ-სლავიასთან ურთიერთობა გაფუჭდა. რომში ფიქრობენ, რომ კორფუს მიმართ იტალიის ენერგიულმა პოლიტიკამ კარგი პოზიცია მოუპოვა სამხრეთ-სლავიის წინაშე. ულტიმატუმის ვადის გათავებისათვის, რის შემდეგაც იტალეთმა და სერბეთმა თავისუფალი მოქმედების უფლება მიიტოვეს, ჯარების კონცენტრაციას საადვილოდ ითვლიან.

პარიზი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით ბელგრადში ფიქრობენ, რომ პაშიჩის მოლაპარაკება პუანკარესთან და იტალიის ელჩთან პარიზში საბოლოოდ გაავლენას მოახდენს იტალეთ-სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკებაზედ ფიუმეს საკითხში.

რომი. „დეილი მეილის" კორესპონდენტს მუსოლინმა განუცხადა, რომ მისი აზრით ფიუმეს საკითხი მალე და მშვიდობიანად დამთავრდება.

მიწის ძვრა იაპონიაში

იაპონიაში დაზარალებულ ყოველი მხრიდან ცნობით დახმარება. ინგლისში ლორდ-მელმა მათ საჩუქრად შეაგროვა 70·000 გირვანქა სტერლინგი. ავსტრალიიდან გაუგზავნეს ფქვილი, ხორცი, ბრინჯი, რძე და წამლეულობა.

ნიუ-იორკის ბირჟაზედ იაპონიის ვალიუტამ დაწია, რასაც ხსნიან მით, რომ მიწის ძვრის შედეგები გავლენას არ იქონიებენ იაპონიის ფინანსიურ მხარეზედ.

ტოკიოში ცხოვრება თავისკალაპოტში სდგება. ელექტრონის განათება, წყალსადენი და ტრამვაი აღდგენილია.

იაპონიის ბანკებმა თხოვნით მიმართეს მთავრობას მისცეს მათ სესხი ფინანსიურ მდგომარეობის გასამაგრებლად.

იტალიის ობსერვატორიები შორეულ ღონიერ მიწის ძვრებს აღნიშნავენ.

მუშათა მოძრაობა.

ვენა. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის მეთაურებმა კომუნისტების წინადადებაზედ, მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ, სრულიად მიუღებული პირობები წამოაყენეს, რათა ამით მთლიანი ფრონტის შექმნა შეუძლებელი გაეხადათ. სოციალ-დემოკრატიის ერთი მეთაურთაგანი, პასტუხოვი, პარტიულ ორგანო „ეპოქა"-ში წინადადებას აძლევს კომუნისტებს ხელი აიღონ „ძალის დიქტატურის" მეთოდზედ.

ლონდონი. ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ უმუშევართა რიცხვმა 1 სექტემბრისათვის მიაღწია 1,233,000 კაცამდე. შედარებით წინა კვირასთან მოემატა 5,130 კაცი.

ლონდონი. ტრედუნიონების კონგრესის უკანასკნელ სხდომაზედ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს რურის ოკუპაციის გამო. კონგრესი მოწოდებით მიმართავს საფრანგეთისა და ბელგიის მუშებს, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ მათ თავიანთ მთავრობების პოლიტიკას. ტრედუნიონების გენერალური საბჭო შეპირდა ხელმეორედ განიხილოს ინგლისის ჯარის რურში დატოვების საკითხი და მიმართოს მთავრობას გამოიყვანოს იქიდან ჯარი.

რკინის-გზელთა სახელით ტომასმა მოიწონა წინადადება ფართე დემონსტრაციების მოწყობის შესახებ, რათა ამით პროლიტარიატს გაუღვიძოს ინტერესი ოკუპაციის შეწყვეტისადმი. „მორნინგ პოსტი" აღნიშნავს, რომ კონგრესზედ საუკეთესო სიტყვები კომუნისტებმა წარმოსთქვეს.

ლონდონი. მექვაბეთა ლოკაუტი, რომელიც ეხება 60,000 მუშას, გრძელდება ეს მე-23 კვირა, რის გამოც მუშები ყოველკვირეულად კარგავენ 150,000 გირვ. სტერლინგს ხელფასს. სხვა ცეხების მუშები უარს ამბობენ უშველონ მექვაბეთ.

ნიუ-იორკი. ამერიკის სამთამადნო მუშების გაერთიანებული ფედერაცია, რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი რეაქციონერი ლუისი, გამოქვეყნებულ განცხადებაში ბრალს სდებს კომინტერნს, ვითომც იგი სცდილობდა დაეშორჩილებინა თავისთვის „კანონიერი" მუშათა კავშირები, რათა ამით ჩამოეგდო ამერიკის მთავრობა და აღედგინა საბჭოთა დიქტატურა. ეს განცხადება გადაბეჭდეს ნიუ-იორკის ყველა გაზეთებმა.

რიგა. (ლატვია). 10 სექტემბერს დაწყებული ტრამვაის მუშათა გაფიცვა ისევ გრძელდება. გაფიცულები თხოულობენ ხელფასის 20 პროც. გადიდებას.

უცხოეთი

ბერლინი. რომიდან მიღებულ ცნობებით, ვატიკანი აპირებს გაგზავნოს მოსკოვში თავისი დელეგატი, რათა მიაღწიოს მორიგებას საბჭოთა მთავრობასთან.

რომი. გონ-კონგის ახლოს შეიარაღებულ ჩინელთა ჯგუფი დაეცა საფოსტო გემს, გაძარცვეს მგზავრები და წაიყვანეს თან 9 ინგლისელი.

ნიუ-იორკი. „ნიუ-იორკის ტაიმს"-მა დაბეჭდა დიურანჩის წერილი, რომელიც აცნობს, რომ რუსეთში წელს შარშანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მოსავალია.

პარიზი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით, ოსმალეთისა და ს. ს. რ. კ. სავაჭრო მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

ახალი ამბები

დები თარხნიშვილების გუნდის კონცერტები. ამ დღეებში დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში ტფილისიდგან გაემგზავრება სახალხო მომღერალთა გუნდი მარო თარხნიშვილის ლოტბარობით კონცერტების გასამართავად.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სალიტერატურო გაზეთი „ხომლი" ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო სექტემბრის 16-ს ვერ გამოდის. გაზეთი გამოვა უახლოეს მომავალში.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** ბორჯომის რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ შორის საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ შეაგროვეს 594,360,000 მ., აღნიშნული თანხა უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ახ. ერქომაიშვილის „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და მისი პრაქტიკულათ განხორციელება".

— **რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება.** ტფილისში არსდება რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოების განყოფილება.

— **კოლექტიური ხელშეკრულება.** ბორჯომის სახ. კომისარიატმა შეუმუშავა ხელშეკრულება „ჩემო"-სა და მაღაროების მუშების შორის.

— **ბათომის ჰიდრო-ელექტრონული სადგური.** ბათომიდან 30 ვერსის დაშორებით აჭარისწყალთან შესდგა 800 ცხენის ძალის ჰიდრო-ელექტრონული სადგური, სადგური ელექტრონულ ძალას მიაწოდებს მახლობელ სოფლებს.

— **შრომის ბირჟაში.** 11 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 780 უმუშევარი ახლად ჩაეწერა—165, გაიგზავნა სამუშაოზე—68 უმუშევარი.

— **დამზღვევ კასის საექიმო შესამოწმებელი კომიხია.** გადმოვიდა მადათოვის ქუჩაზე და 11 სექტემბრიდგან დაიწყო ავადმყოფების შემოწმება.

— **სოც. დაზღვევის გადასახადი.** შრომის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ყველა სახ. კომისარიატმა და აგრედვე იმ დაწესებულებებმა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ხარჯზე, დროზე შემოიტანონ მათზე გაწერილი სოც. დაზღვევის გადასახადები სოც. დაზღვევის ცენტრალურ სამართველოში.

— **200 საბანი ბავშვთა სახლებისათვის.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას განათლების ხარჯთაღრიცხვის ანგარიშით საბავშო სახლების საჭიროებისათვის მიეცეს 200 საბანი.

— **ბირჟის გარეშე მოსამსახურეთა შესახებ.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: ა. კ. რ. გზის პროფ. კავშირის წარმომადგენელთა თანადასწრებით მოიწვიოს კრება, რომელიც გამოიმუშავებს გეგმას შრომის ბირჟის გარეშე მოსამსახურეთა მიღების წინააღმდეგ საბრძოლველად რკინის გზაზე.

— **ახალი წიგნაკები უმუშევართათვის.** შრომის ბირჟა ამ დღეებში შემოიღებს ორნაირ წიგნაკებს: წითელს, პირველ კატეგორიისათვის პროფ. კავშირის წევრებისათვის და თეთრს—მუშაობის მაძიებელთათვის.

— **ქურდობა.** 1-ლ სამილიციო რაიონში, ლენინის ქ. № 26 გაქურდული იქნა მოქ. ლუკიანოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები. ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობათ არ არის აღმოჩენილი.

რაქვი და ნაჯახი აიღე მძლავრი ხელებით და სოციალისტურ ევროპასთან ერთად შენც დაეცი კაპიტალიზმს: ეს აქტი იქნება საქართველოში აქტი სოციალისტური მოძრაობის გაჩაღებისა, ეს იქნება აქტი ქართველი ერის ნამდვილი თავისუფლებისა, ხოლო ჩვენი პარტია იხევე დასცემს კაპიტალიზმს, როგორც ქართველი მუშის და გლეხის ნაჯახი".

ჩვენთვის თავიდანვე ნათელი და გარკვეული შეიქმნა, რომ ჩვენი ერის თავისუფლება, მისი მომავალი და სოციალ-კულტურული აღორძინება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალიზმის განხორციელების კითხვასთან. თანამედროვე იმპერიალიზმის ეპოქაში წვრილმა და ჩამორჩენილმა ერებმა მთელი თავიანთი ენერგიით უნდა დაუპირონ მხარი სოციალისტურ მოძრაობას,—ეს იყო ჩვენი პოლიტიკის ერთი მთავარი დებულება, რომელსაც სისტემატიურად ვიცავდით ჩვენ ძველი პარტიის ორგანიზაციებსა და პრესაში. 1919 წ. ივნისის 11-ს ამხ. სიმონ ხუნდაძე—წერილში „თანამედროვე საქართველო და მისი მომავალი" ამ საკითხის შესახებ სწერს: „პატარა ერთა თავისუფლება და სოლიდარული განვითარება შეუძლებელია სანამ არსებობენ დიდ-ტანიანი სახელმწიფოები, რომელთა საექსპლოატაციო საგნად ხდება ხოლმე წვრილი ეროვნული ერთეულები. **გამარჯვება იმპერიალისტური ევროპისა ნიშნავს პატარა ერთა სურვილების და ინტერესებ ს დამარცხებას, მათი სოციალური და კულტურული განვითარების განადგურებას. წვრილ ეროვნულ ერთეულთა ორგანიზაციების ინტერესები თანამედროვე პირობებში სავსებით შეთანხმებულია საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის ინტერესებთან და მიზნებთან.** განადგურება იმპერიალისტური პოლიტიკისა, დამარცხება კაპიტალისტური მეურნეობისა და კულტების ჭქმნის უაღრესად თავისუფალს ფორმებს პატარა ერთა ინტერესების გამარჯვებისა და მათი სოციალური ძალთა სოლიდარული განვითარებისათვის. დღეს საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატიის რევოლიუციონური შემოქმედება პატარა ეროვნებათა ინტერესებსაც ემსახურებოდა **ჩვენი მშრომელი ხალხ ს მოვალეობაა უაღრესად ხელი შეუწყოს ამ დიდ აქტის განმტკიცებას და შეამზადოს საქართველოში ობიექტიური და სუბიექტიური ნიადაგი ინტეგრალური სოციალიზმის მიხაღებად".** ამგვარად ჩვენი ერის ინტერესების საზომით ჩვენ ვუხსნიდით ჩვენს ხალხს სოციალიზმის საჭიროებასა და რევოლიუციონური პოლიტიკის წარმოებას. მენშევიკების წვრილ ბურჟუაზიულ პოლიტიკის ნაცვლად, რომლის მთავარ შინაარს შეადგენდა კაპიტალიზმის განმტკიცება ჩვენში და იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა, ჩვენ წამოვაყენეთ სოციალისტური პოლიტიკა, პროგრამა და რევოლიუციონურ პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირის გაბმას ვუქადაგებდით ჩვენს ხალხს. ამას გვიკარნახებდა ჩვენ, როგორც ჩვენი ერის სწორად გაგებული ინტერესები, ისე კაპიტალისტური მეურნეობის ნიადაგზე შექმნილი პირობები მთელს მსოფლიოში. იმავე თვეში ამხ. ს. ხუნდაძე წერილში „იმპერიალიზმი და ერები" არკვევს რა თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმის ტენდენციებსა და ომის მიერ გამოწვეულ განადგურებას ევროპაში, დაასკვნის: „ევროპის კაპიტალის უმთავრესს მასაზრდოებელ წყაროდ კვლავ ჩამორჩენილი მხარეები გახდება და მათ ზურგზე მოისურვებს გამარჯვებული იმპერიალიზმი გაასკეცებული ენერგიით აღადგინოს ომის წარმოებაში შერყეული ეკონომიური ბატონობა. სხვა გზა მისი ბატონობის აღსადგენად არ არსებობს.

აქედან ცხადია, თუ რა მოელის გამარჯვებულ იმპერიალიზმისაგან საქართველოს და მისი ეკონომიური ცხოვრება როგორის კალაპოტით განვითარდება უცხო კაპიტალის ბრჭყალებში".

ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს ამხ. ხუნდაძე მხოლოდ სოციალისტურ რევოლიუციაში ხედავს. იგი განაგრძობს: „რუსეთის დიდი რევოლიუციის მიერ გადასროლილმა ლოზუნგებმა გააღვიძა როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის მშრომელი ხალხი, რომელსაც სტანჯავდა ევროპის კაპიტალის მრავალი წლების უხამსი ბატონობა. ამ დიდ მოძრაობაში იწვავდება და ხორცს ისხამს დიადი პრობლემა დაჩაგრულ ერთა ყოველმხრივი განთავისუფლებისა. აჯანყება ეგვიპტეში, ტუნისში, ავღანისტანში და სხვა კოლონიებში ახალი ღირსშესანიშნავი რგოლებია საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის, რომელსაც ერთი დიდი მიზანი აქვს: **გაანადგუროს იმპერიალიზმის ბატონობა და შეუმზადოს ნიადაგი თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირებს"** (№ 554).

ამას ვწერდით ჩვენ ბოლშევიკების მოსვლის ორი წლით ადრე. გვაჩვენოს ამხ. ფილიპე მახარაძემ და ამხ. ი. ბ—მ თუნდ ნასახი მთელი ამ მიართულებისა სოციალ-დემოკრატიულ მწერლობაში ხსენებულ პარტიის მთელი ათი წლის განმავლობაში! რასაკვირველია ამას ამხ. ფილიპე ვერ შესძლებს, ვერ შესძლებს იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატია ძალიან შორს იდგა მუდამ, როგორც საერთაშორისო რევოლიუციასთან, ისე საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციასთან.

მენშევიკების წარსულის შესასწავლად და მასთან დამოკიდებულების გამორკვევისათვის ძალიანი დიდი სიფთხილეა საჭირო. ისინი სულ სხვა სკოლაში არიან გაზრდილნი, სხვა იდეები აქვთ მაგრად ჩაჭედილი გულის სიღრმეში. წუთიერი გატაცება გონებას ნუ წაგვართმევს და გრძნობას პოლიტიკა არ გავაყოლოთ.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს თამასუქები. 1919 წლიდან ჩვენში სოციალისტური აზროვნება კი არ გამქრალა, არამედ უფრო მომწიფდა და გაიზარდა.

ჩვენც განვაგრძოთ...

თედო ლლონტი.

ბრისაო. რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენ თავს ჩვენში არავითარი ღალატი არ მომხდარა ჩვენივე ბრისა, რომ ჩვენ ისა ვართ 21 წლის შემდეგ, რაც ეყავით 20 წელში და 19 წელში.

მაშ ისევ განვაგრძოთ.

ჩვენ ეროვნულის მხრივ მოუარეთ საკითხს, ჩვენ ერთობლივი საქართველო დავსახეთ და ა უთხარით საქართველოს 1919 წელში? 8 მარტის ნომერში ვსწერთ: **„ქართველი ერის, როგორც ამორჩენილი და პატარა ხალხის ნამდვილი განვითარებისა შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაში.** ჩვენისთანა ერს არც ტოქეობა შეუძლიან კაპიტალისტურ ბუმბერაზებან, არც ომის წარმოება და შეღლა. ჩვენ შეგვიძლიან ვიარსებოთ მხოლოდ თანამშრომლობის პირობებში, მშვიდობიანობის ხანაში, სადაც უფროებს უმცროსები ამხანაგებად ჰყავს. ერთი სიტყვით, ჩვენ მხოლოდ თავისუფლებაში შეგვიძლიან ცხოვრება; ამ მოსაზრებით ჩვენ ვიბრძვით სოციალიზმისთვის".

ბევრს აშინებდა ის გარემოება, რომ რუსეთის რევოლიუცია ძალიან შორს წავიდა, მას დასასრული არ უჩანს, რომ ის **დიქტატურის, ესე იგი შეიარაღებულ სოციალიზმის** ხასიათს იღებს. დიაღ—ვწერთ ჩვენ 8 მარტის ნომერში—„ეს რევოლიუცია ფართო და ღრმაა, დიადია მის მასშტაბი და ბრედვე იგი მეტად ხანგრძლივია, მაგრამ **რევოლიუციის სიძლიერე მის ხანგრძლივობაშია** და ამ ბრივ თანამედროვე რევოლიუცია საყურადღებო, მაგალითო მოვლენაა". დიაღ,—განვაგრძობდით ჩენ: „თანამედროვე რევოლიუცია ძვირად უღირს დემოკრატიას, უამრავი მსხვერპლი შეიწირა რევოლიუციამ და დღესაც მრავალ ზვარაკს მოითხოვს. ჩენში მარტივი გონების ადამიანები გვეუბნებიან, რომ რევოლიუციის დიდი მსხვერპლი ბოლშევიკების ბრალი არისო. რასაკვირველია, ბოლშევიზმი არაფერს შუაშია, თანამედროვე ხანა არის ხანა ბრდამავალი. ვშორდებით კაპიტალიზმს, ხოლო ახლოვდებით სოციალიზმს, აქ ხდება გადატრიალება პსიხიკის, ფიზიკის, მთელი ჩვენი კულტურის ა რა საკვირველია, რომ დიდი ნგრევა-უბედურება ბდეს".

თანამედროვე სოციალისტური ვარსკვლავი ბოდის რუსეთის რევოლიუციის სიღრმიდან. ასე ო წინად ფეოდალიზმის ლიკვიდაციის დროს და ე ხდება დღეს კაპიტალიზმის განადგურების ხანაში. 8 მარტის ნომერში (19 წ.) ჩვენ ვწერთ: მეტად დამახასიათებელია ისიც, რომ **სასტიკი** ევოლიუცია მოხდა არა მოწინავე ინგლისში, არა-ად უფრო ჩამორჩენილ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში (ინგლისიდან)—საფრანგეთში. დღესაც რევოლიუციით ხდება კაპიტალიზმის ლიკვიდაცია, ა მოწინავე ევროპაში, არამედ აღმოსავლეთიან—რუსეთიდან. თანამედროვე სოციალისტური ევოლიუცია ისევე გაიმარჯვებს, როგორც ბურუაზიული მოძრაობა დამთავრდა გამარჯვებით წინა საუკუნეში. სოციალისტური წყობილება ბევრისათვის ჯოჯოხეთად არის წარმოდგენილი, ნამდვილად კი სოციალიზმის ელემენტები რკალსავით გვარტყია, ხოლო სოციალისტური ბაცილებით გავსებულია ჩვენი სხეული. მხოლოდ დალაგება, მოგვარება, სისტემაში მოყვანაა საჭირო დღეინდელ ცხოვრებაში არსებულ სოციალისტურ წრეებს".

აქედან ყოველი თვალხილული მკითხველი ხედავს, რომ ჩვენ საქართველოში უეჭველად მოველით და ვხედავთ სოციალიზმის მოახლოვებას. 8 მარტის ნომერში (19 წ.) ჩვენ ვწერდით: **„ჩვენ უდროოთ ჩამოვშორდით რევოლიუციას, სოციალიზმს. მაგრამ როცა კარზე პირველიც მოგვადგება და მეორეც, ჩვენს გაოცებას არ ექნება საზღვარი, ჩვენ ავირ-დავირევით და დიდი მსხვერპლი დაგვჭირდება რევოლიუციის წინაშე ვალის მოსახდელად".**

ამას ვწერდით ჩვენ 19 წლის მარტის პირველ რიცხვებში. ორი წლის შემდეგ ჩვენი წინასწარმეტყველება ასრულდა და ჩვენ სოციალიზმის წინაშე დავდექით და მსხვერპლის, რევოლიუციონური ვალის გადახდაც მოგვიწია.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ თანამედროვე სოციალიზმს ჩვენ მივიღებთ არა რომელიმე პროპაგანდისტის გაჭნილ ენის საშუალებით, არამედ იარაღის გზით და საშუალებით. 19 წლის მარტის 8 ნომერში ვსწერდით: **ძველი წესების ლიკვიდაციის დროს არც ერთი წყობილება არ დამყარებულა ევროპაში თუ არა შეიარაღებულის ძალით. სოციალიზმის საკითხი ილიუზია კი არაა, არამედ ფაქტია და სწორედ ეს ფაქტი მოითხოვს სოციალიზმისათვის შეიარაღებულ სისტემას.** შეიარაღებული **სოციალიზმი—ი თანამედროვე რევოლთუციის ფაქტი. რიკი სრციალიზმი უნდა ჩამოყალიბდეს პროცესუალურად, სისტემატიურად სოციალისტური ლაშქარიც იმიტომაა საჭირო, რომ ჩამორჩენილმა და კაპიტალისტურად სულთმობრძავმა სახელმწიფომ არ ჩაკლას სოციალიზმი. რუსეთში დღეს მილიონი ხალხი არის იარაღს ქვეშ. დიაღ, მოდის შეიარაღებული სოციალიზმი და რაკი შეიარაღებული სოციალიზმი იმორჩილებს ევროპის უდიდეს ქვეყნებს, იგი სოციალიზმი ნებსით თუ უნებლიეთ დაიმორჩილებს პატარა ქვეყნებსაც. საქართველომ იხევე უნდა გამოიღოს სოციალისტური კულტურა, როგორც გადმოვიღეთ კაპიტალისტური კულტურა".**

ჩვენი რჩევა, რომ ქართველ ხალხს მიეღო დღეს ვიქნებოდით გაცილებით მაგარი და ღონიერი ყოველივე მხრივ. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბურჟუაზიულ პოლიტიკის კისერზე უნდა იყოს ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა რეაქციონური ჯიუტობის გამო.

19 წელში, მარტში ჩვენ მაინც განმეორებით ვეუბნებოდით ქართველ ხალხს: **„შენი ხსნა არის მხოლოდ სოციალიზმში, შენი სიხსლი, შენი წინასწარ**

— **ბინის გაქურდვა.** მე-11-ე სამილიციო რაიონში ჩერქეზიშვილის ქუჩა № 181-ში, გაქურდული იქნა მოქ. კონსტანტინე ზაქარიაშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 402 მილიონი მანეთის. ეპვით დაპატიმრებულია ამა და ნიკოლოზ აბულოვები.

— **მკვლელობა.** 1-ლ სამილიციო რაიონში სვიატოპომირსკის და პეტროვის ქუჩის კუთხეში მოკლულ იქმნა მოქ. კვალიაშვილი. გვამი გადაგზავნილია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. მიღებულია ზომები ბოროტ-მომქმედთა აღმოსაჩენად.

— **დუქნის გაქურდვა.** მე-1-ე სამილიციო ნაწილში გაქურდული იქნა მოქ. კოს. სვანიშვილის დუქანი, რომელიც მდებარეობს მალაკნის ქუჩა № 41 საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები, ღირებული 153.000,000 მან. ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ქურდობა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში, ყვირილის ქუჩა № 8 6 სექტემბერს ღამით გაქურდული იქნა 1-ლი საბჭოთა ლითონის ქარხანა საიდანაც წაღებულია ტყავი (რემენი) 19 არშინი სიგანით ღირებული 150 მილიონ მანეთისა. ბოროტ-მომქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **მაღაზიის გაქურდვა.** მე-4-ე სამილიციო რაიონში, დიდი ვანქის ქ. № 12 გაქურდული იქნა მოქ. ფურტენის მაღაზია, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 2 მილიარდი 250 მილიონ მანეთისა. ბოროტ-მომქმედი არ არის აღმოჩენილი.

— **ბინის გაქურდვა.** 1-ლ სამილიციო რაიონში ყორღანოვის ქუჩა № 11 გაქურდული იქნა მოქ. დარია ტროფინჩუკის ბინა, საიდგანაც წაღებულია ტანისამოსი ღირებული 335 მილიონი მანეთისა. მიღებულია ზომები ბოროტ-მომქმედის აღმოსაჩენად.

— **ვალიუტის კურსი.**

13 სექტემბერი.

ჩერვონეცი	45,000,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	43,650,000 „
ჩეკი.	42,000,000 „
დოლარი ეფექ.	9,500,000 „
ჩეკი.	8,800,000 „
ოსმალური ლირა	6,050,000 „
საბჭოთა ფული	20,500 „

სამეცნიერო ექსპედიციის დაგრუნება მუინვართ წვერიდან

ოთხშაბათს 12 ენკენისთვეს საღამოს 3 ნახ. საათზე ტფილისში დაბრუნდა მყინვართ წვერზე წასული ეკსპედიცია პროფ. ალექსანდრე დიდებულიძის მეთაურობით. ეკსპედიციის დანიშნულება სავსებით შესრულებულია. თანამშრომელთა მუშაობამ და მის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ყოველივე ამას ხელს უწყობდა კარგი ამინდი, რომელიც დაესწრო უკანასკნელ დღეების განმავლობაში მყინვართ წვერის მიდამოებში ყოფნის დროს. დაწვრილებითი აწერილობა ეკსპედიციის შუშაობის შესახებ ამ დღეებში იქნება მოთავსებული ჩვენს გაზეთის ფურცლებზე.

ხოსო ახლანიშვილი.

პარტიაში

დღეს, სექტემბრის 14-ს, საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი სხდომა ტფ. მე-2-ე სარაიონო კომიტეტის. ამხ. ნ. უჯმაჯურიძეს, მაქს. ბერძნიშვილს, დ. ჟორჟოლაძეს ვთხოვთ აუცილებლად გამოცხადდნენ.

მდივანი.

შაბათს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მე-4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **სერგო ამაღლობელი** შემდეგ თემაზედ **„უტოპიური სოციალიზმი“**

დასაწყისი საღამოს 7 საათზედ. შესვლა შეუძლია პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობთ.

მე-4 რაიკომი.

შეცდომის გასწორება

„ტრიბუნის“ № 568-ში გამოცხადებულია, რომ ტფილისის კომიტეტის დადგენილებით პარტიიდან გამორიცხულია **შალვა** სიჭინავა, უნდა იყოს **„ვარლამ** სიჭინავა.

წერილები საქართველოს ეგრაელებზე.

4.

არა!

შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური პირობები; ძველები ჩაბარდენ ისტორიის არქივს და მათ ნანგრევებზე აღმოცენდა და დამკვიდრდა საბჭოთა მთავრობა.

განვლო ორმა წელმა, არაფერი ისმის, გარეშემო სიწყნარეა და არავის მოსდის თავში საქართველოს ებრაელთა ბანაკში დაანგრიოს აღმართული კოშკი დუმილის. რაშია საქმე? ნუ თუ საბჭოთა მთავრობას არ აინტერესებს უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ ებრაელთა ბედი?

ამის თქმა იქნებოდა დიდი შეცდომა. საბჭოთა მთავრობა ყველა ერისთვის განსაკუთრებული მოწიწებით ზრუნავს. მისთვის არ არსებობს განსხვავება, მისთვის ერთია: ებრაელი, ქართველი, ფრანგი, პოლონელი და იაპონელი.

მაშ რატომ არ ზრუნავს საბჭოთა მთავრობა საქართველოს ებრაელებისთვის?

აი საკითხი, რომელზედაც ჩვენ სამართლიანად ვუპასუხებთ, რომ საქართველოს ებრაელთა მიმართ დაშვებულია შეცდომა და გარდა ამისა **დიდი გაუგებრობა.**

სრულიად მართალია პატივცემული ო., როდესაც ის სწერს გაზ. „ტრიბუნის“ № 567-ში, რომ საქართველოს ებრაელი რა გინდ ღარიბი იყოს, ის მაინც ჩარჩია, რაც მას აყენებს ერთგვარ „გერის“ მდგომარეობაში, როგორც არა მშრომელ ელემენტსაო.

მართალია ავტორი იმაშიდაც, რომ ეს ჩარჩობა ვაჭრობა კი არაა, არამედ **გლახაკობა** და მართალია მაშინაც, როდესაც ის ამბობს, რომ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებას სჭირია განსაკუთრებული შესწავლა.

თუ არაფერი გაკეთებულა ჯერ-ჯერობით საქ. ებრაელებისთვის, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მათ ვინაობაში და ეროვნულ სხვაობაში, არამედ იმ გარეგნულ შთაბეჭდილებაში, რომელსაც ისინი სტოვებენ ერთი თვალის გადავლებით. აქ მოხდა სწორედ დიდი შეცდომა, როდესაც მათი „ჩარჩობის“ გამო ისინი მოექცენ არა მშრომელ ელემენტთა რიგებში.

მაგრამ ასე სჩანს მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით.

სინამდვილეში ასე არ არის. საქართველოს ებრაელი უაღრესად მშრომელი ელემენტია.

განა საქართველოს ებრაელს ბრალს დავდებთ იმაში, რომ მან ვერ მოაწყო თავისთვის მეურნეობა? მისცეს მას საამისო მიწები? განა საქართველოს ებრაელს ბრალს დავდებთ იმაში, რომ ის კულტურულად მაღალ დონეზე არა სდგას? უჩვენეს მას საამისო გეგმა? აღჭურვეს ის სათანადო უფლებებით? დაუძახა მას ვინმემ ახალი გზისკენ და არ გაჰყვა?

საქართველოს ებრაელთა მასსას ჩვენ ამაში ბრალს ვერ დავდებთ და თუ მათში განვითარდა წყეული ჩარჩობა—ეს არ არის „ვაჭრობა“, როგორც ბევრსა ჰგონია, არამედ ეს მართლაც ჟურნალისტის სიტყვის არ იყოს—ეს არის გლახაკობა.

დიახ, მე ვიმეორებ მისსავით, რომ საქართველოს ებრაელთა ცხოვრებას სჭირია განსაკუთრებული შესწავლა.

წადით თქვენ პროვინციებში, გადახედეთ იქაურ ებრაელებს, იმათ აღებ მიცემობას, იმათ საქმიანობას და თქვენ გული გეტკინებათ, თქვენ დაგეწვით თვალები იმათი საცოდავობით!..

იქ ნახავთ ისეთ შემაძრწუნებელ სურათებს, რომ აღარასოდეს არ იტყვით, ეს ხალხი ფიზიკურად არ მუშაობსო.

სიცხეში, ჰაპანაქებაში, როდესაც ღვარად გადმოდის შუბლიდან ოფლი თქვენ შეამჩნევთ, რომ 50—55 წლის ადამიანს წამოუკიდია მხარზე მთელი ტომარა მარილი და მიაქვს ათეულ ვერსის მანძილზე, რომ გადასცვალოს ის 5 გირვანქა ხორბალზე, რათა ის და მისი ცოლშვილი არ შეიქნენ ხსხვერპლნი კარზე მომდგარ სიმშილის.

ზამთარში, საშინელ სიცივეში და ყინულში, როდესაც ქარ-ბუქის გამო ყველანი გამთბარ სახლში დამალულან და იქაც ჰგრძნობენ სიცივეს და კანკალობენ მისი სუსხით, ტყეში რომელიმე ბილიკზე ან აღმართზე თქვენ შეამჩნევთ მკერდ გაღეღილს და ფეხშიშველს იმავე ადამიანს, რომელიც მირეკს წინ დაქირავებულ ჯორს, რომლითაც მიაქვს ხუთიოდე გირვანქა ნავთი მახლობელ სოფელში.

დაისვენებს, შესუამს ხმელა ჭადს, დაბრუნდება შინისკენ „ნავაჭარი“ და ბედნიერად ჩასთვლის თავს, თუ აღებული გროშები მშვიდობით ჩაიტანა სახლამდე და გულზე ხელ დაკრეფილი ღმერთს მადლობას შესწირავს.

ეს ადამიანი გახლავთ საქართველოს ებრაელი.

განა ჩემ სიტყვებში არის რაიმე გადაჭარბება? განა ასე არ არის?

გაიხსენეთ 1920—21 წლებში რა ხდებოდა რაჭა-ლეჩხუმის, შორაპნის და სხვა მაზრებში; გაიხსენეთ რამდენი სისხლი დაიღვარა უდანაშაულოდ ბანდიტების მიერ და გაიხსენეთ ისიც: ამ ებრაელთა მკვლელებს სჯიდა ძველი მთავრობა?

ებრაელები მხოლოდ მაშინ იყვნენ „სრულ უფლებიანი მოქალაქეები“, როცა მთავრობის არსებობისთვის მათი ხმები იყო საჭირო, ხოლო როდესაც მათ გასაჭირი ადგათ მათი გამკითხავი არავინ იყო.

ძრავალი ღარიბი ებრაელი დღესაც ხდება მსხვერპლი ბანდიტიზმისა. აი როგორ დასასრულამდე აღწევს მათი **ნავთით და მარილით ჩარჩობა.**

განა ამას ეწოდება ვაჭრობა? განა ამის გამო ისინი უნდა გაირიყონ, როგორც ვაჭრული ელემენტები? განა ეს, მათი ასეთი უმწეო მდგომარეობა ვისთვისმე სახარბიელოა?

რასაკვირველია გამონაკლისი არის, მაგრამ ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მყავს უმეტესობა, რომელსაც შეადგენენ პროვინციის ებრაელობა.

აშკარაა, რომ ფიზიკურად ბევრს შრომობენ მაგრამ ძალიან ცოტას იღებენ სამაგიეროდ. საბჭოთა მთავრობა, რომელიც ფხიზლად დგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, უნდა აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას საქართველოს ებრაელებს, ვინაიდან ისინი ბუნებრივად მშრომელები არიან და რომელი „ჩარჩი“ გინდა აიღოთ მის ავლა დიდებას ტანისამოსზე იცნობთ: თმა გაცვინული ტყავის ქუდი, ცხრამეტნაირად დაკერებული ახალუხი და გაცვეთილი ქალამანი.

ასეთია სილუეტი უმეტესობა ჩვენი ე. წ. „ვაჭართა კლასისა“.

წინედ იცოდენ თქმა: „ებრაელს, რა გინდ ღარიბი იყოს, დახეული ახალუხის კალთები რომ დაურეკო, ასიანები გადმოსცვივდებაო“.

დღეს ხომ ასე აღარავინ გაიმეორებს?

მე მგონია, რომ არა და ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანის ვალდებულებაა აღიაროს, რომ ეს დრომოჭმული ლეგენდაა...

გერცელ ბააზოვი.

(დასასრული იქნება)

განმანათლებელი საქმიანობა ქიზიყში

ამ თემაზედ დავპირდი ჩვენს მკითხველებს წერილს და მინდა ადვასრულო აღთქმა. კომუნისტური ორგანიზაცია, მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, ბევრს ცდილობს, ძალიან ბევრს, რომ ბნელეთით მოსულ სინღნაღის მაზრაში შეიტანოს სინათლე, კულტურა, განათლება, განვითარება. არ ზოგავს პარტია ამ ფრიად საჭირო საქმისთვის არც ენერგიას, არც ნივთიერ საშუალებას, მაგრამ... აბა სწორედ ამ „მაგრამის“ წიაღშია დამარხული „ძაღლის თავი“.

აღვნიშნოთ პარტიის სანაქებო მოქმედება თუნდა იმ ფაქტით, რომ მან შესძლო დაეარსებინა და წარმატებით ეწარმოებინა ქ. სინღნაღში ყოველკვირეული გაზეთი „სიმართლე“. ამ გაზეთმა შემოიკრიბა თვის გარშემო ყველა საალიტერატურო ძალები ქ. სინღნაღისა, განურჩევლად პარტიულ მიმართულების, და შეუდგა ერთგულად განმანათლებელ მოღვაწეობას. გაშუქება მიმდინარე კითხვებისა და პოპულიარიზაცია მეცნიერების, სასოფლო მეურნეობა და გლეხ-კაცობის ჭირ ვარამის გამოაშკარავება,—აი პროგრამა ამ გაზეთისა. უნდა ითქვას, რომ გაზეთი პირნათლად და ხშირად ნიჭიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რაიც, სხვათა შორის, მტკიცდება მ•სტირაჟითაც,—2000 ეგზემპლიარი.

მეორე დარგი და უფრო უმძლავრესი—სკოლის საქმე მაზრაში ძალიან მოიკოჭლებს. სკოლა ჩვენში გაჩაღებული დარჩა და სრულიად აღღო ვერ აუღო ახალ დროებას და ახალ მოთხოვნილებასთუმცა ჩვენი სკოლები იწოდებიან „ერთიან შრომის სკოლებად“ და „ტეხნიკუმებად“, მაგრამ ეს მხოლოდ ახალი დროის ეტიკეტია. „შრომის სკოლები“ არავითარ „შრომის“ პრინციპს არ ატარებენ, ისინი ისევ ძველი „სამოქალაქო სკოლებია“, ხოლო „ტეხნიკუმები“ რაღაც ძველებური „პროგიმნაზიის“ მაგვარია და იქ „სატეხნიკოს“ ვერაფერს იპოვით.

ასე რომ მთავრობის განზრახვებსა და სინამდვილეს შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. სკოლებში გამეფებულია ძველი „ბუბრისტკიკა“ და სქოლასტიკა.

ძველი სკოლებიდან ერთი რითმე განსხვავდებიან,—ეს იმით, რომ მასწავლებელთა პერსონალი [illegible] დღეს უფრო უცენზო და მაშასადამე უფრო მოუ[illegible] ზადებელია პედაგოგიურ მხრივ [illegible]

მიზეზი სკოლის უუფლებო მდგომარეობისა [illegible] მრავალია:

ერთი, რომ მასწავლებლებ [illegible] კონსერვატიულ ელემენტს.

მეორე, რომ ახალი სკოლის პრინციპები [illegible] არიან ჩამოყალიბებულნი და კიდეც, რომ იყოს, [illegible] არიან გავრცელებულნი მასწავლებელთა მასაში. [illegible] ტი რა გინდათ, დღემდის საქართველოს მასწავლებლებს არა აქვთ თვითანთი პედაგოგიური ჟურნალი [illegible] რომელიც აშუქებდეს სასკოლო კითხვებს.

მესამე ისა, რომ მასწავლებლებს და სკოლებ[illegible] არა ჰყავთ სათანადოთ მომზადებული და პედაგ[illegible] გიურად განვითარებული ხელმძღვანელი. ასეთ[illegible] როლს უნდა ასრულებდეს სინღნაღის აღმასკომ[illegible] განათლების განყოფილების გამგე, მაგრამ, სამწ[illegible] ხაროდ, ეს პიროვნება სრულიად მოუმზადებელ[illegible] თავის საპასუხისმგებლო მოვალეობისათვის.

ერთად-ერთი ღირსება მისი ის არის, რ[illegible] იგი **კომუნისტია.** გარნა ჩვენ ისიც ვიცით, რ[illegible] არა ყველა, ვინც იტყვის: „უფალო, უფალო“, შე[illegible] სასუფეველსა შინა.

სინღნაღის პარტკომი ძრიელ ბევრს მუშაობ[illegible] მეტადრე პროპაგანდა—აგიტაციის ნაადაგზე ხალ[illegible] ში, მაგრამ ვინაიდგან სოფლებში არა ჰყავთ სათ[illegible] ნადოდ მომზადებული მოღვაწეები, ეს მუშაობ[illegible] ცირკულიარებით იწყობა და მათივე თავდებ[illegible] ერთი სიტყვით, პარტიული საგანმანათლებლო მუშ[illegible] ობა გარეგნულად თითქო დუღს და გადმოდის[illegible] მაგრამ მომზადებულ მუშაკთა უქონლობის გამო [illegible] თავგანწირული მუშაობა რჩება „ხმად მღაღადებ[illegible] ლად უდაბნოსა შინა“.

იმით უნდა დავასკვნათ ნათქვამი, რომ საჭ[illegible] როა ახალი, მომზადებულ ელემენტების ჩაბმა საქ[illegible] მიანობაში. დღეს, როდესაც ყველა სხვა პოლიტ[illegible] კური პარტიები დაიშალა, როდესაც „ყველამ ხელ[illegible] გაუწოდა კომუნისტურ პარტიას ერთად ან სოლიდ[illegible] რულად მუშაობისთვის, ვამბობთ, დღეს ძნელი აღ[illegible] არის მომზადებულ და განათლებულ პირების ჩაბმ[illegible] მუშაობაში,—და ეს უნდა აჩქარებით მოხდეს.

ქიზიყელი.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგ[illegible] განცხადება:

მე აქამდის ვიყავი უპარტიო, დღეს კი, დარწ[illegible] მუნებული მასში, რომ საქართველოს მემარცხენ[illegible] სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია არ[illegible] ნამდვილი დამცველი ეროვნების და მშრომელთ[illegible] კლასის ინტერესების სურვილი მაქვს ნთელი ჩემ[illegible] ენერგიით ვისუშაო აღნიშნულ პარტიაში.

შ. ყაზაზიშვილი.

გაზეთ „ტრიბუნის“ რედაქტორს

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ ეს ჩემი პატარ[illegible] წერილი მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში[illegible] მე დღემდის არცერთ პოლიტიკურ პარტიაში ა[illegible] მიმუშავნია, დღეს ჩემი დაკვირვებით ვხედავ, რომ [illegible] მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტ[illegible] არის მუშურ-გლეხური პარტია და მსურს ვიყო მის[illegible] წევრათ.

ა. ჩიკვილაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დავკარგე: გორის მაზრის სამხედრო აღ[illegible] რიცხვის მოწმობა № 2826 მო[illegible] ცემული 1923 წ., როგორც საბუთი მოწაფის განთავისუფლებისა, დაბადებული 1901 წ. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად.

შალვა გიორგის ძე ხეხნიაშვილი.

აკ რკინის გზათა სამართველო
ამით აცხადებს, რომ
ჭალ. ვოსკოვში
თეატრის მოედანი, № 7.
დაიწყო მოქმედება აკ რკინის გზათა
კომერციულმა
საგენტომ,
რომელიც აწარმოებს დეგულეგეგით ნეგა-დართულ ყოველგვარ ოპერაციებს.
კომერციულ საგენტოს გამგედ დანიშნულია მოქ. ნ. ა. კოსილოვი,
მის მოადგილედ მოქ. ი. ლ. კოტლიაროვი
მისამართი დეპეშით: მოხკოვი—ზაკავკაზუელდოროგ. 3—3

ტირაჟი 1910 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 633 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, [illegible] № 4.